ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3966997

ნომერი: AR1594326

თარიღი : 20.04.2018

გაცემის თარიღი : 17.05.2018

გაცნობის თარიღი : 17.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბუქური პ/ნ 01025003639
- ტ. თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება კორპ. 11. ბ.6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- ბანკომატის განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, მეტროს სადგურ „ახმეტელის თეატრი“-ს მიმდებარე ტერიტორია, შპს „კარიბჭე“ს საკუთრებაში (მოიჯარე სს“ საქართველოს ბანკი“) არსებული ფართის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების (არსებული საჩრდილობის დემონტაჟი, ფასადების ღებვა და ფილებით მოპირკეთება, ღიობების რეკონსტრუქცია, ბანკომატისა და სარეკლამო აბრების განთავსება) განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რეგისტრაციის N 892018323357 თარ. 23/04/2018 საკადასტრო კოდი N 01.11.12.016.030 არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, საპროექტო ფოტომონტაჟი; ანაზომი და ესკიზური ნახაზები; იჯარის ხელშეკრულება; რწმუნებულება;) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, მეტროს სადგურ „ახმეტელის თეატრი“-ს მიმდებარე ტერიტორია, შპს „კარიბჭე“ს საკუთრებაში (მოიჯარე სს“ საქართველოს ბანკი“) არსებული ფართის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების (არსებული საჩრდილობის დემონტაჟი, ფასადების ღებვა და ფილებით მოპირკეთება, ღიობების რეკონსტრუქცია, ბანკომატისა და სარეკლამო აბრების განთავსება) განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ :

– სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა ;

- იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, (კონსტრუქტორის გადაწყვეტილების მიხედვით) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა, განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, დამუშავებული იქნას კონსტრუქციული სქემა, შესაბამისი დეტალიზაციით;

• ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

• სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

• აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.